Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება № 7
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

1 აგვისტო 2013 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს

მხრივ ქეთევან ანთაშვილი (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისთვის ქსოვილი ნაწარმი /CPV-39500000/ სარტყელი, ფარდის და საწოლის ქსოვილი (შესაძენი მასალა) შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საშუალებით.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 63.00 (სამოცდასამი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წ. 1 აგვისტოდან 2013 წ 15 აგვისტომდე (ხელშეკრულები გაფორმების ვადები).

3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## 4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების . და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;

4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2013 წ 15 ივლისამდე (ხელშეკრულების ბოლო ვადა).

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" კონფედენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი | ქეთევან აბაშვილი |
| ს/კ - 201948928 | მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 7. |
| მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 182 | საიდენტიფიკაციო კოდი: 01020001341 |
| ბანკი: სს „საქართველოს ბანკის" საანგარიშსწორებო ცენტრი | ტელ: |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის ანგ : |
| ა/ა №123361000 | „მიმწოდებელი" |
| თეატრის მმართველი | დირექტორი |
| დავით დოიაშვილი | ხელმოწერა |